სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
N 01-032105

ქ. თბილისი 21 მარტი 2019 წ.

ერთის მხრივ სსიპ ***„გარემოს ეროვნული სააგენტო"*** (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი უფროსის ანდრო ასლანიშვილის სახით და მეორეს მხრივ **ი.მ მედეია დეკანოსიძის (ს/კ 01030008254)** (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - „ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც მიაწოდებს საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანი: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ეკონომიკური სამსახურის, საფინანსო და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სამმართველოსთვის, 2019 წლის განმავლობაში სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის, საბუღალტრო წიგნების აკინძვის მომსახურების შესყიდვა (150 ცალი საბუთების წიგნად (ტომად) შეკვრა) **(CPV - 79971200 - წიგნის აკინძვა).**

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია დანართი N1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3 ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს **525 (ხუთას ოცდახუთი)** ლარს დღგ-ს გარეშე.

3.2 1 ცალის აკინძვის ღირებულება 3.50 (სამი ლარი და 50 თეთრი) ლარი, ასაკინძი წიგნების სავარაუდო რაოდენობა 150 ცალი.

3.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

4 ანგარიშსწორების წესი

4.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

4.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

4.3 დაფინანსების წყარო: სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" 2019 წლის საკუთარი სახსრები.

4.4 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით მიღება–ჩაბარების აქტების საფუძველზე და სხვა დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

5 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მიწოდებული საქონლის კონტროლი, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია დაესწროს ინსპექტირების პროცესს.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებით.

5.4 ინსპექტირებას „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" საფინანსო და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი მამუკა ოძელაშვილი.

5.5 შესყიდვის ობიექტის მიწოდებასა და ხელშეკრულების მოქმედების ვადების კონტროლს განახორციელებს ეკონომიკის სამსახურის, ინფრასტრუქტურის, განვითარებისა და ლოჯისტიკის სამმართველოს მოწვეული სპეციალისტი ეკა კუპრავა.

6 მომსახურების გაწევის პირობები

6.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2019 წლის 22 აპრილს (ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღე).

6.2 მომსახურების გაწევა განხორციელდება შემსყიდველის ფაქტობრივ მისამართზე: **სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" ადმინისტრაციულ ოფისში - მის: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის 150.**

7 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით შემსყიდველის მხრიდან მიღება ჩაბარების აქტებზე ხელმოწერას და საქონლის მიღების დადასტურებას განახორციელებს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" საფინანსო და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სამმართველოს უფროსი.

8 პასუხისმგებლობა

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გადახდის ეტაპზე გამოქვითვის საშუალებით ან მის მიერ ამ თანხის გადახდით შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 მაისის ჩათვლით.

10 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

11 ხელშეკრულების შეწყვეტა

შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი ან მისი ნაწილი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა რომელიმე ვალდებულება დაკავშირებული მისაწოდებელი საქონლის ხარისხთან და ა.შ.
გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
ე) მხარეთა წერილობითი შეთანხმების შემთხვევაში;
ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12 ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, 3 დღის განმავლობაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13 სადაო საკითხების გადაწყვეტა

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14 უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

15 ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

16 შეტყობინების განხორციელება

ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17 გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

18 დამატებითი პირობები

18.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

18.2 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ ,,გარემოს ეროვნული სააგენტო“ მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №150. საიდენტიფიკაციო კოდი: 204559691 მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი: TRESGE22 ტელ: 243 95 45	ი.მ მედეია დეკანოსიძე ს/კ 01030008254 ფაქ. მის: ქ. თბილისი, მარუაშვილის ქ. №21. ბანკი: სს „ტერა ბანკი“ კოდი: TERAGE22 ა/ა GE 76 KS 0036 0101 2918 5401 ტელ.: 593 49 69 61.
ანდრო ასლანიშვილი სააგენტოს უფროსი	მედეია დეკანოსიძე

LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

Digitally signed by LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY
Date: 2019.03.21 14:28:49 +04'00'

შეთანხმებულია:

საბუღალტრო წიგნების აკინძვის მომსახურების აღწერა	CPV	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება
1. A4 ფორმატის დოკუმენტების აკინძვა ყდაში ჩასმის/წიგნად აკინძვის მომსახურება უნდა მოიცავდეს: დოკუმენტების წიგნად აკინძვას და სქელ მუყაოს ყდაში ჩასმას (მუყაოს სისქე - 1,5 მმ). ერთ წიგნში ფურცლების მაქსიმალური რაოდენობა - 300 ფურცელი, ხოლო თემატიკისა და პერიოდებიდან ან სხვა ობიექტური მიზეზიდან გამომდინარე, სამუშაო პროცესში შემსყიდველის თანხმობით ან/და მოთხოვნით შესაძლებელია აიკინძოს 300-ზე ნაკლები ფურცლის შემცველობის წიგნი. წიგნის აკინძვის დროს გამოყენებული უნდა იქნას მაღალი ხარისხის ძაფი, წიგნის შეკერვის ადგილი უნდა დაიფაროს შესაფუთი ქაღალდით - ბუველინი, რომელზეც უნდა დაეკრას შესაბამისი ზომის თეთრი ქაღალდი წარწერების გასაკეთებლად, ასევე წიგნის წინა მხარეს უნდა დაეკრას თეთრი წებოვანი ქაღალდი წარწერის გასაკეთებლად ზომებით: 10X10სმ. 2. აკინძული წიგნი უნდა იყოს მაღალი ხარისხის, ადვილად არ დაიშალოს, არ მოხდეს წიგნში ჩაკრული დოკუმენტების ამოვარდნა. ასაკინძი დოკუმენტები წინასწარ უნდა გათავისუფლდეს სტეპლერის ტყვიებისგან და დოკუმენტის სამაგრებისგან. 3. აკინძულ წიგნში დაცული უნდა იყოს ფურცელთა თანმიმდევრობა და სისწორე (ფურცელი არ უნდა იყოს ამობრუნებული) შემსყიდველის მიერ განსაზღვრული სახით. თითოეულ წიგნში დოკუმენტაციის აკინძვა უნდა მოხდეს შემსყიდველის მიერ განსაზღვრული თემატიკისა და პერიოდების მიხედვით. 4. მიმწოდებელმა სამუშაო უნდა განახორციელოს საკუთარი მასალით, რომელიც იქნება ახალი (არამეორადი).	79971200	150	3.5	525
სულ ჯამი დღგ-ს გარეშე				525 (ხუთას ოცდახუთი) ლარი

შემსყიდველი:

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“

მიმწოდებელი:

ი.მ მედეია დეკანოსიძე

ანდრო ასლანიშვილი
სააგენტოს უფროსის

მედეია დეკანოსიძე
ინდმეწარმე

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტოსა“ და ი.მ მედეია დეკანოსიძეს შორის 2019 წლის 21 მარტს №01-032105 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

_____ ანდრო ასლანიშვილი

_____ თეიმურაზ მთივლიშვილი

_____ მარიამ ხვედელიძე

_____ ნინო სამადაშვილი

_____ ზვიად მანჯგალაძე

_____ მაია სისვაძე

_____ მამუკა ოძელაშვილი

_____ თამარ ყარსიმაშვილი

_____ ეკა კუპრავა

_____ ეთერ ალთუნაშვილი